თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი

საპროექტო მომსახურების შესყიდვის

ს ა კ ო ნ ს კ უ რ ს ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქ. ვანის 2014 წელი

განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

1. ***შესყიდვის ობიექტი:***

- ამაღლების თემში ამაღლება–კოპიტნარი–ჭოკიანის საავტომობილო ხიდის მშენებლობა (დანგრეული ხიდის სანაცვლოდ, 20-25 გრძივი მეტრი) _ 10400 ლარი.
- ამაღლების თემში ჭოკიანის ხიდის გამაგრება –რეაბილიტაცია (18 გრძივი მეტრი) _ 4800 ლარი.
- ამაღლების თემში ფორფალას ღელეზე (ამაღლების საჯარო სკოლასთან მისასვლელი) სახიდე გადასასვლელის აღდგენა _ 240 ლარი.
- დიხაშხოს თემში მდინარე სულორზე (სოფელი ისრითი ლაბაჯოურის უბანი) საავტომობილო ხიდის გამაგრება _ 560 ლარი.
- ამაღლების თემში დამეწყრილი გზის მონაკვეთზე წყალგამტარი მილის მოწყობა _ 84 ლარი.
- ამაღლების თემი ბალასტის ჩაყრა დამეწყრილი გზის მონაკვეთზე _ 18 ლარი.
- ძულუხის თემში როხვაძეების უბანში საბოგირე გადასასვლელის რეაბილიტაცია _ 171 ლარი.
- ძულუხის თემში ძულუხურას უბანში საბოგირე გადასასვლელის რეაბილიტაცია _ 243 ლარი.

- სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- დეფექტურ აქტებს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საპროექტო ორგანიზაციის და შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო (მუშა ნახაზები) დოკუმენტაცია.
- დამატებითი სამუშაოები დაზუსტდება შემსყიდველთან ერთად დეფექტური აქტების მომზადების პროცესში

2. **შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს *16516* ლარს.**
3. **დაფინანსების წყარო.: სახელმწიფო ბიუჯეტი**
4. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ **განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ** და **კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი** დალუქვის გარეშე, ასევე დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის ***საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, ინფორმაციას მომსახურების გაწევის ვადის შესახებ და რეკვიზიტებს.***

5. ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით ***2014 წლის 29 სექტემბრის 15:00 საათამდე,*** შემდეგ მისამართზე: ქალაქი ვანი, თავისუფლების ქუჩა №65, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

6..საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

6.1. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6.2.კონკურსანტის მიერ „6.1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

7. წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

7.1.პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- საკონკურსო წინადადების ფასი, წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.
- ინფორმაციას ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადების შესახებ.
- ორგანიცაზიის რეკვიზიტები.

ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი დოკუმენტაცია იურიდიული და ფიზიკური პირების შემთხვევაში:

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.
- ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მხოლოდ ფიზიკურის პირის შემთხვევაში)
- პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (მხოლოდ ფიზიკური პირის შემთხვევაში)

შენიშვნა:

1) *<u>საკონკურსო განცხადების მე-5 პუნქტის „5.1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, ხელმოუწერელი და ბეჭედდაუსმელი დოკუმენტაცია არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.</u>*
2) *<u>კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება აღემატება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.</u>*

8. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის დასრულების პერიოდის გათვალისწინებით.

9. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას

10. არარეზიდენტმა კონკურსანტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

11. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა სრულყოფილი პროექტი უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს <u>**ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარულ დღეში.**</u>

12.შესყიდვის ობიექტის მირება–ჩაბარება განხორციელდება ანგარიშფაქტურისა და მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ.

13.ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში

14. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

- ამაღლების თემში ამაღლება–კოპიტნარი–ჭოკიანის საავტომობილო ხიდის მშენებლობა (დანგრეული ხიდის სანაცვლოდ, 20-25 გრძივი მეტრი) .

1.1 ტექნიკური დავალება:

ხიდის და მისასვლელების დაპროექტება უნდა მოხდეს 2009 წელს საქართველოში შემუშავებული ქართული საამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით და საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებითა და სტანდარტებით

ა) ხიდის სიგრძე უნდა იყოს ერთმალიანი მყარი, კალაპოტის გადახურვით სიგძით 16 მეტრამდე

ბ) სავალი ნაწილის სიგანე უნდა იყოს ტროტუარების გარეშე 6მ

გ)სანაპირო ბურჯები მოეწყოს მასიური ბეტონის ბუნებრივ საძირკვლებზე

დ) მალის ნაშენის კოჭები და სავალი ნაწილის ფილა დამზადდეს ლითონისაგან

ე) სარეგულაციო ნაგებობები მოეწყოს კონუსურის გამაგრებით ფლეთილი ქვის გაბიონების მოთუთიებული მავთულის ყუთები

ვ)მისასვლელი გზის საფარი მოეწყოს ქვიშა–ხრეშოვანი ნარევის ნამგლისებური პროფილით

ზ) ხიდზე დროებითი დატვირთვების გაანგარიშება იყოს ერთ მანქანაზე წონით 30ტ

თ) ხიდის ორივე მხარეს მოეწყოს ახალი კალაპოტი 250გრძ.მ–ზე

- ამაღლების თემში ჭოკიანის ხიდის გამაგრება –რეაბილიტაცია

1.2 ტექნიკური დავალება:

ა) ხიდი არის ერთმალიანი სიგძით 13 მეტრამდე, შედგება ლითონის ორტესებრივი კოჭებისაგან N45, სავალი ნაწილი არის რკინა–ბეტონის 30 სმ–იანი პიკაჟებისაგან მოწყობილი რომელიც ამორტიზირებულია. განაპირა ბურჯები არის გარეცხილი და დეფორმირებული მისი ტანი შედგება 3 ლითონის მილისაგან დიამეტრი 45 სმ. მოაჯირი დაშლილ მდგომარეობაშია. ხიდის რეაბილიტაციისათვის საჭიროა მალის ნაშენის გამაგრება, სავალი ნაწილის გამოცვლა და ახლის დაპროექტება. უნდა მოხდეს განაპირა ბურჯების გამაგრება საძირკვლის ჩაღრმავებით და ტანის რკინა–ბეტონის პერანგის ჩაცმით. სარეგულაციო ნაგებობების კონუსების მოწყობა მოხდეს ფლეთილი ქვის გაბიონებით. მისასვლელი გზის საფარი მოეწყოს ქვიშა– ხრეშოვანი ნამგლისებური პროფილით.

- ამაღლების თემში ფორფალას ღელეზე (ამაღლების საჯარო სკოლასტან მისასვლელი) სახიდე გადასასვლელის აღდგენა
- დიხაშხოს თემში მდინარე სულორზე (სოფელი ისრითი ლაბაჯოურის უბანი) საავტომობილო ხიდის გამაგრება

1.3 ტექნიკური დავალება:

ორივე ხიდზე დამკვეთთან ერთად შედგეს სათანადო დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც მოხდეს საპროექტო გადაწყვეტილების მიღება

- მოთხოვნა ტოპო–გეოდეზიურ სამუშაოებზე

სახიდე მონაკვეთების რეკოგნოსცირება და საყრდენი წერტილების BGH–მარკების დამაგრება მოხდეს ადგილზე. მონაკვეთის აგეგმვა შესრულდეს 50–100 მასშტაბში. წარმოდგენილი იქნეს არსებული ხიდის, ნაპირგამაგრების, გაბიონების, არსებული საავტომობილო გზისა და მდინარის პარამეტრების აღწერა–დადგენა, ასევე საშემსრულებლო გადაღება. რელიეფის ტოფოგრაფიული გადაღება დამუშავებული უნდა იყოს Wgs-84 UTM კოორდინატთა სისტემაში Zona N38 დონეები ბალტიის ზღვის დონეზე მიბმული. არსებული მონაკვეთის აგეგმვა უნდა შესრულდეს N37 სნდაწ 01.02.07.87 (საინჯინრო კვლევები მშენებლობისათვის).

- მოთხოვნა ჰიდროლოგიურ და ჰიდრომეტრიულ კვლევის საორიენტაციო სამუშაოებზე

პროექტის შესადგენად საინჟინრო–ჰიდროლოგიური სამუსაოები მოიცავს სახიდე გადასასვლელების რაიონის ჰიდროლოგიური პირობების დეტალურ შესწავლას იმ მოცულობით რაც საკმარისი იქნება ხიდის, მისასვლელების მიწის ვაკისის, სარეგულაციო ნაგებობებისა და მშენებლობის ორგანიზაციის პროექტირებისათვის, რისთვისაც საჭიროა: დათვლილი იქნას ხარჯები შესაბამისი მეთოდიკით და დაზუსტდეს წყლის მაღალი ჰორიზონტი ხიდებისათვის.

ხიდის ოპტიმალური ხვრეტის ანგარიში უნდა ჩატარდეს საძირკვლების ჩაღრმავების სიღრმის გაანგარიშებასთან კომპლექსურად.

ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავება განისაზღვროს საერთო და ადგილობრივი წარეცხვების ჯამით ბუნებრივი სიღრმითი დეფორმაციების გათვალისწინებით. ჰიდროლოგიური ანგარიშის საფუძველზე დაინიშნოს სახიდე გადასასვლელებზე სარეგულაციო ნაგებობების მდებარეობა და კონსტრუქციები. ხიდის ხვრეტის დანიშვნისას ბურჯების საძირკვლების ჩაღრმავების განსაზღვრისას, სარეგულაციო ნაგებობების დაპროექტებისას აუცილებალია მდინარის კალაპოტის შესაძლებელი ბუნებრივი დეფორმაციების გათვალისწინება, რომლებიც შეიმჩნევა მდინარეებზე არსებულ პირობებში და რომლებიც ხშირად აქტიურდება გადასასვლელის მშენებლობის სემდეგ. ჰიდრომეტრიული სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იქნას უსაფრთხოების პირობები.

- მოთხოვნა საინჟინრო–გეოლოგიურ კვლევის საორიენტაციო სამუშაოებზე

საველე საინჟინრო–გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას სახიდე გადასასვლელის ყველა ელემენტის პროექტირების დროს გაყვანილი უნდა იქნას დაზვევრითი საინჟინრო გეოლოგიური ჭაბურღილები. ორივე განაპირა ბურჯთან განისაზღვროს ჭაბურღილების სიღრმე საძირკველის გაანგარიშებისათვის. საჭირო მონაცემების მიღების პირობიდან მათი დაყრდნობის ზონიდან 5–10 მეტრით დაბალ სიღრმეზე, რაც უზრუნველყოფს ქვესაგებ გრუნტებზე საძირკვლების მდგრადობაზე გაანგარიშების შესაძლებლობას. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საძირკვლების საფუძვლებში კუმშვადი გრუნტების სისქის შესახებ ჭაბურღილების სიღრმის განსაზღვრა დასაშვებია ცხრილით #37 სნდაწ 01.02.07–87(საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის) და წარმოდგნილი უნდა იქნას საბოლოო საინჟინრო გეოლოგიური ანგარიში (განმარტებითი ბარათი)

- ამაღლების თემში დამეწყრილი გზის მონაკვეთზე წყალგამტარი მილის მოწყობა
- ამაღლების თემი ბალასტის ჩაყრა დამეწყრილი გზის მონაკვეთზე
- ძულუხის თემში როხვაძეების უბანში საბოგირე გადასასვლელის რეაბილიტაცია
- ძულუხის თემში ძულუხურას უბანში საბოგირე გადასასვლელის რეაბილიტაცია

შენიშვნა: დამატებითი სამუშაოები დაზუსტდება შემსყიდველთან ერთად დეფექტური აქტების მომზადების პროცესში.

- კონკურსში გამარჯვებული ორგანიზაცია ვალდებული იქნება შემსყიდველისაგან მიღებული მონაცემების გათვალისწინებით, გააგზავნოს თავისი წარმომადგენელი ადგილზე ტექნიკური პირობის შესწავლის, დაზუსტების მიზნით.
- მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს მითითებულ მისამართზე გასვლა, საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობების დათვლა-დაზუსტება, შესაბამისად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და შემსყიდველისათვის მიწოდება, როგორც ბეჭდური (4 ეგზემპლარი), ასევე ელექტრონული ვერსია.
- შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისას უნდა იხელმძღვანელოს ქვეყანაში მოქმედი საამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

- გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება)
- **საავტორო ზედამხედველობის ვადა** - სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პროცესი.
- იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.
- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი შეთანხმდება შემსყიდველთან.

15. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეფასდება ათბალიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების შესაბამისად.

- საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი 0,4
- კონკურსანტის გამოცდილება - კოეფიციენტი 0,4
- პროექტის შედგენის ვადა - კოეფიციენტო 0,2

16.კონკურსში გამარჯვების გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი არ არის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დაბალი ფასი. საკონკურსო კომისია გამარჯვებულს გამოავლენს მისი წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

17.კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

18.გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 10 კალენდარულ დღეში ექსპერტიზა გავლილი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წაროდგენა შემსყიდველისათვის (ექსპერტიზის ხარჯები გაიწევა მიმწოდებლის მიერ)

19. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.

20.კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქაართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3-ის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე.

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №

ქ.ვანი „___“ „_____“ 2014 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ---------- ---------- სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ _____(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი ---------- სახით, დებენ ხელშეკრულებას იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი) ------საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეული იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მომწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურეობა _____ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

(ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

1.გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელეწტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;

1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტური განვითარების სამსახური.

2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:

2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურეობის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულებების მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

3. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს
სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

4. სტანდარტები

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

5. **მომსახურების გაწევის პირობები**

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს ----------.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

8. **მხარეთა უფლება-მოვალეობები**

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება;

8.4.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის

გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

9. **ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა**

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულბის პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით. რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუოფელ ნაწილად.

10. **ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შერულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

11. **ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

12. **ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია**

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

13. **ფორს-მაჟორი**

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში,

მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობის მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14. **სადაო საკითხების გადაწყვეტა**

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. **ხელშეკრულების ვადა**

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ---------- .

16. **განსაკუთრებული პირობები**

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მესამე პირს.

16.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართილ ენაზე, 3(სამი) ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16.5 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი რჩება მიმწოდებელთან ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.